# ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N28

2019 წლის 31 იანვარი
ქ. ქობულეთი

### სს ,,სილქნეტი''-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს ,,სილქნეტი''-ს თანდართული სქემის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროკაში (ს/კ 20.53.01.072)-ის მიმდებარედ ჭის მშენებლობისა და სატელეფონო კანალიზაციის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს ,,სილქნეტმა'' უზრუნველყოს ჭის მშენებლობისა და სატელეფონო კანალიზაციის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე  დ.მჭედლიშვილი




საპროექტო არხი 7.5 მეტრი
(გრუნტი)

## პირობითი ნიშნები

- არსებული ჭა
- არსებული სატ. კანალიზაცია
- ერთ არხიან საპროექტო სატელეფონო კანალიზაცია
- ① საპროექტო ჭა

# 1-1

მუნიციპალიტეტი ქობულეთი , სოფელი წყავროკა
სკ.კოდი: 20.53.01.072-ს მიმდებარედ

| სახაზო ნაგებობები | CRM ID: | ფურცლები | გვ |
|---|---|---|---|
| | 198081 | 1 | 1 |

| | |
|---|---|
| ჯგუფის უფროსი | პ. დემეტრაშვილი |
| შეადგინა | ნ. გელიაშვილი |

**სანებართვო ნახაზი**

ს.ს. სილქნეტი
ქ.თბილისი
10/29/2018

SILKNET

# მცირეტიპისკოლოფი0.9X0.9

აგურისკონსტრუქცია



# ჭრილი


0.7მ.
0.05მ. ქვიშა
0.05მ. ქვიშა
ოპტიკური კაბელი
გოფრირებული მილი დ=50 მმ.